

მთავარი ქუჩნალისტური გამოძიება კარმიდამო ჩემი 21-ს ქვევით G-NEWS TV სიახლეები

მთავარი თემა პოლიტიკა საზოგადოება ეკონომიკა სამართალი მკითხველი კულტურა სპორტი აკილო გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები

ფოტო

ვიდეო

### "მწვანე ალტერნატივა" ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოუწოდებს, მაქსიმალურად გაიხსნას პროცესი

ადმინისტრატორი, ოთხშაბათი, 27 თებერვალი 2013 14:45

Tweet 0 Like 1

არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხილვებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: "მიმდინარე წელს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოში დერივაციული ტიპის ჰესებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, ბატონი ილია ელოშვილის შეთავაზებით, პრობლემის განხილვა დაიწყო მშენებარე „დარიალჰესისა“ და დაგეგმილი „ყაზბეგი ჰესის“ (ხდის ხეობა, ბროლისწყალი) მაგალითებზე.

შეხვედრების თითქმის ყველა მონაწილე, პროექტის არსებული ფორმით შემუშავებაში ან დამტკიცებაში მონაწილეობდა: ჰესების მშენებელი კომპანია, ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღნიშნული ჰესების წინასაპროექტო კვლევების („გროს ენერჯი“), გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის („გამა“ და მისი ექსპერტები) და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (გარემოს ეროვნული სააგენტო) მომზადებაში. შეხვედრებში დამოუკიდებელ მხარედ ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად, მხოლოდ „საქართველოს მწვანეები“, ბატონი მამუკა გვილავა და შეიძლება ერთი ან მაქსიმუმ ორი მონაწილე ჩაითვალოს (სამწუხაროდ, ყველას სახელი და გვარი ჩვენთვის არ არის ცნობილი). თემის ფართო საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მწვანე ალტერნატივამ პირველივე შეხვედრაზე მოითხოვა, ჯგუფი უფრო ღია და წარმომადგენლობითი გამხდარიყო, მოწვეული ყოფილიყვნენ სამეცნიერო, საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. WWF Caucasus) და სამოქალაქო საზოგადოების (განსაკუთრებით ადგილობრივი) წარმომადგენლები. სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას ეს მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. ასევე, ენერგეტიკის სამინისტრომ არ შეასრულა საჯაროდ გაცხადებული დაპირება და არ უზრუნველყო პროცესში ადგილობრივი ჯგუფების ჩართვა.

ენერგეტიკის სამინისტრო ხშირად აპელირებს იმ ფაქტზე, რომ ზემოაღნიშნულ პროცესში ჩართულია ადმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია მწვანე ალტერნატივას თავმჯდომარე, მანანა ქოჩლაძე). ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის მესამე - ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის - ჯგუფის ინიციატივით, მართლაც გაიმართა შეხვედრა ენერგეტიკის მინისტრთან და მოხდა შეთანხმება რამდენიმე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, პლატფორმა არ მოიაზრებს მსგავს სამუშაო ჯგუფებში ჩართულობას, როგორც პლატფორმის წევრთა ექსკლუზიურ უფლებას და აღიარებს სამოქალაქო საზოგადოების მთელი სპექტრის მონაწილეობის აუცილებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო პლატფორმის მესამე სამუშაო ჯგუფის ჩართულობა არავითარ შემთხვევაში არ უმლის პლატფორმის არაწევრი არასამთავრობო ორგანიზაციების პროცესში ჩართვას. პირიქით, შერჩევითი ჩართულობა სწორედ პლატფორმის პრინციპების უხეში დარღვევაა და პროცესის დისკრედიტაციის საფუძველს ქმნის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მაქსიმალურად გაიხსნას პროცესი, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს პროცესში სრულფასოვანი ჩართვის შესაძლებლობა.



მასალების გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება

1062355
4325
TOP.GE 1472